ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. იანვარი 25. № 2 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

8. 1938 წლის 1 იანვრისათვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.

9. პირუტყვის ბრუცელოზით დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

10. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფილტვების ანთებით მოარულ დაავადებასთან ბრძოლის გატარების ღონისძიებათა შესახებ.

11. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

21.6.1

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. იანვრის 5. № 244/1511.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი დაარსებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-IV თავის საფუძველზე და მოქმედებს თანახმად საერთო დებულებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) ადგილობრივი ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და რეგულირება;

გ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მდგომარეობისა და მუშაობის მეთვალყურეობა და კონტროლი, რომლებიც ხორციელდება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმების, ინსტრუქციებისა და ბრძანებათა საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ახალი საწარმოებისა და წარმოების სახეების ორგანიზაცია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გეგმების შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარგებს, და ემორჩილება, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგეობის საგანი.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფუნქციებში შედის:

1. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოს ხაზით წარმოების პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების, პროდუქციის გასაღების და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, აგრეთვე დასკვნების მიცემა იმავე ორგანოებისათვის საკავშირო ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების შესახებ;

2. რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვა და დამტკიცება; კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის კალენდარული ვადების დაწესება ამ საწარმოებისათვის; დაქვემდებარებულ საწარმოთა წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების განხილვა და დამტკიცება; ნაკრები წლიური საბუხჰალტრო ანგარიშისა და ბალანსის შედგენა რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის მთელ სისტემაში; დასკვნების მიცემა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის საკავშირო ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშებისა და ბალანსების საკითხებზე;

3. კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმები;

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციათა წესდებებისა და დებულებების დამტკიცება და ამ ორგანიზაციათა საწესდებო ფონდების ოდენობის დაწესება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

5. იმ სამრეწველო სტანდარტთა პროექტების შემუშავება, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, ახალი სახის პროდუქციის გამოშვების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარება;

7. შრომის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, კადრების მომზადება და მათი განაწილება მსუბუქი მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კონკრეტული დახმარების გაწევა საწარმოებისათვის სტახანოვური მოძრაობის სოცშეჯიბრის და დამკვრელობის გაშლის საქმეში;

8. მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საკითხების შემუშავება;

9. დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა კაპიტალური მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობა, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე, და საკავშირო ქვემდებარეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალური მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე; სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

10. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც არ არის შეტანილი იმ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტთა განსაკუთრებულ სიებში, რომელთა საპროექტო დავალებებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო;

11. რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის საგასაცემო ფასების დამტკიცება საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გარდა იმ საცალო ფასებისა, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი;

12. მონაწილეობის მიღება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საცალო ფასებისა და სავაჭრო წანამატების შემუშავებაში;

13. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა საბითუმო და საცალო ქსელის ხელმძღვანელობა;

14. განაცხადების წარდგენა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში იმპორტის დარგში და ექსპორტის დარგში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალებათა შესრულების ხელმძღვანელობა;

15. რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობით, ტექნიკური და დამხმარე მასალებითა და სათბობით მომარაგების ორგანიზაცია, როგორც საფონდო მასალების მიღების გზით, ისე არასაფონდო ნედლეულის ტექნიკური და დამხმარე მასალების დამოუკიდებელი დამზადებისა და შესყიდვის საშუალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. დაქვემდებარებულ საწარმოთა სატრანსპორტო მეურნეობის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ნედლეულის და გამომუშავებული პროდუქციის გადაზიდვის გეგმების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის;

17. იმ ტექნიკური სასწავლებლების ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, რომლებიც ამზადებენ მსუბუქი მრეწველობის კადრებს;

18. მსუბუქი მრეწველობის ინჟენერ-ტექნიკური და ადმინისტრატიულ-სამეურნეო კადრების აღრიცხვა და განაწილება; დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების დირექტორთა და მმართველთა დანიშვნა და დათხოვნა;

19. ოპერატიული სტატისტიკური ანგარიშგების მეთოდოლოგიის, წესის, ფორმებისა და ვადების დადგენა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მითითებათა თანახმად;

20. ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს უწყობენ გამომგონებლობის განვითარებას მსუბუქი მრეწველობის დარგში;

21. მთავრობის უმაღლეს სადირექტივო ორგანოების მიერ მსუბუქი მრეწველობის დარგში მიღებულ დადგენილებათა კონტროლისა და შესრულების ორგანიზაცია და კონტროლის განხორციელება;

22. დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახანძრო და სადარაჯო დაცვის გაწყობა და ოპერატიული ხელმძღვანელობა;

23. კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის იმ დამამზადებელ ორგანიზაციათა მოქმედებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის განევა, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან, აგრეთვე მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება აღნიშნულ დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად;

24. ბრძანებებისა და ინსტრუქციების გამოცემა სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლებად.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება:

ა) დარგობრივი სამმართველოები მსუბუქი მრეწველობის ცალკეული დარგების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ფუნქციონალური განყოფილებანი და სექტორები საგეგმო, საფინანსო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ფუნქციების შესასრულებლად, აგრეთვე გეგმის შესრულების შესამოწმებლად.

3. დარგობრივი სამმართველოები და ფუნქციონალური განყოფილებანი მოქმედებენ იმ განსაკუთრებულ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან იმყოფება საბჭო (საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა საერთო დებულების მე-22 მუხ.), რომელსაც იწვევს სახალხო კომისარი.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის წარდგენით.

5. საბჭოს კომპენტენციაში შედის:

ა) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის განვითარების ამოცანებისა და პერსპექტივების განხილვა;

ბ) მთლიანად მსუბუქი მრეწველობისა და მისი ცალკეული დარგების მუშაობის გეგმებისა და ანგარიშების განხილვა;

გ) საბჭოს განსახილველად შეტანილი პრინციპული და სხვა საკითხების განხილვა.

6. საქათველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ეწყობა საუწყებო არბიტრაჟი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის არსებული დავის გადასაჭრელად.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

8. 1938 წლის 1 იანვრისათვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 11 იანვრის № 62 დადგენილებისა „სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ 1934 წლის 1 იანვრისათვის“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, უკეთუ მათ მოეპოვებათ ძრავი ან სამი და უფრო მეტი მომუშავე პირი, სახლში მომუშავეთა ჩათვლით, გატარდნენ რეგისტრაციაში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ (ქალაქის) ინსპექტორებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა ადგილმდებარეობის მიხედვით და შეავსონ რეგისტრაციის დაწესებული ბლანკი.

2. 1938 წლის თებერვლის პირველიდან თებერვლის ხუთმეტამდე საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან მიიღონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ (ქალაქის) ინსპექტურაში რეგისტრაციის ბლანკები.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა რეგისტრაციის შევსებული ბლანკები უნდა წარუდგინონ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ (ქალაქის) ინსპექტურას არა უგვიანეს 1938 წლის 5 მარტისა.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს რეგისტრაციის ხელმძღვანელობა და გატარება სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს პროგრამისა და ინსტრუქტიული მითითებების შესაბამისად.

4. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ყველა (რესპუბლიკურ ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, არა უგვიანეს 1938 წლის 20 იანვრისა, წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სიები ყველა თავიანთ სამრეწველო საწარმოებისა, ზუსტი მისამართის, მათში მომუშავე პირთა რაოდენობის და იმის აღნიშვნით აქვთ თუ არა მათ ძრავი.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები სიებს უდგენენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სათანადო სამმართველოებს, ხოლო რაიონული ორგანიზაციები—სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სათანადო რაიონულ (ქალაქის) ინსპექტურას.

5. დაწესდეს, რომ რეგისტრაციიდან თავის არიდებისათვის და მისი ვადების დაუცველობისათვის საწარმოთა ხელმძღვანელებს დაედება ჯარიმა 100 მანეთის რაოდენობით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების წესისამებრ (სსრ კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. № 207; 1932 წ. № 24 მუხ. 236).

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცენ იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც რეგისტრაციის ბლანკებში წარმოადგენენ არა სწორ ცნობებს.

6. მიენდოს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და რაიონულ (ქალაქის) აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე სათანადო დადგენილებები და გამოაქვეყნონ ისინი ადგილობრივ პრესაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. იანვრის 11. № 53
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

382

1). პირუტყვის ბრუცელოზით დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემაში გამომჟღავნებული მავნებლები—ხალხის მტრები, მეცხოველეობის განვითარებისათვის ძირის გამოთხრის მიზნით, არ აწარმოებდნენ არავითარ ბრძოლას ბრუცელოზის წინააღმდეგ, და პირიქით, ხელს უწყობდნენ მის ფართოდ გავრცელებას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრუცელოზით პირუტყვის დაავადების კერები.

საქართველოს სსრ მიწსახკომმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გამოავლინა ბრუცელოზის მხრივ საეჭვო მეურნეობანი და ის ღონისძიებანი, რომლებსაც იგი ამჟამად ატარებს, ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფენ ბრუცელოზით პირუტყვის დაავადების შემდგომი ზრდის შეწყვეტას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ბრუცელოზთან ბრძოლის ყველა ღონისძიების გატარების დროს, პირველ რიგში თავი მოუყაროს საქართველოს სსრ მიწსახკომის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში—ელდარი, უდაბნო, ბაშკიჩეთი და ციხისჯვარი,—აგრეთვე შემდეგი რაიონების იმ კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, რომლებიც უმშვიდობონი არიან ბრუცელოზის მხრივ: თბილისის, ბაშკიჩეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ადიგენის, საგარეჯოს, ლუქსემბურგის, ხაშურის, სოღნაღის, თელავის, თიანეთის და აღბულახის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის.

ამ მიზნით:

ა) ყველა ამ მეურნეობაში ჩაატაროს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის მთელი სულადობის სეროლოგიური გამოკვლევა;

ბ) არაუგვიანეს 1938 წ. 1 თებერვლისა გახსნას სეროლოგიური ლაბორატორიები ელდარის, უდაბნოს, ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობებსა და ბორჯომში და 1938 წ. 1 აპრილისათვის დაამთავროს საბჭოთა მეურნეობებიდან კოლმეურნეობებისათვის გადაცემული პირუტყვის მთელი სულადობის დამუშავება, ხოლო დანარჩენი სულადობის—არაუგვიანეს 1938 წ. 1 სექტემბრისა;

გ) 1938 წ. 1 მარტამდე მოამზადოს სისხლის გამოკვლევის ჩასატარებლად 4 ექიმი-სეროლოგი და 8 ლაბორანტი;

დ) ცხვრის ფარის საძოვრებზე გაგზავნის დროისათვის მოწყობილი ლაბორატორიები გადააკეთოს მოძრავ ლაბორატორიებად საზაფხულო საძოვრებზე სისხლის გამოკვლევის მუშაობის განსაგრძობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ბრუცელოზით დაავადებული მთელი გამოვლინებული პირუტყვი დაუყოვნებლივ გამოჰყოს ჯან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღი სულადობისაგან განსაკუთრებულ ჯგუფებად და გაანაწილოს ეს ბინები იზოლირებულ საძოვრებზე.

ბრუცელოზით დაავადებული გამოყოფილი პირუტყვისათვის მოაწყოს ცალკე წყალსალევები, სპეციალური გასარეკი ადგილები და უზრუნველჰყოს ისინი ცალკე ინვენტარით, ტრანსპორტით, მუშა პირუტყვით და სპეციალური მოსამსახურე პერსონალით.

3. აიკრძალოს რძისა და რძის პროდუქტების გაცემა და დამზადება უპასტერიზაციოდ ბრუცელოზის მხრივ უმშვიდობო მეურნეობებიდან.

დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს და მიწსახკომს დააწესონ კონტროლი დადგენილების ამ მუხლის შესრულებაზე.

4. იმ მიზნით, რომ მთლიანად იქნას გამოკვლეული ბრუცელოზით დაავადების მხრივ პირუტყვის მთელი სულადობა და გაიშალოს ბრძოლა ბრუცელოზით დაავადების წინააღმდეგ, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მოამზადოს 1938 წელს არანაკლებ 80 ექიმი-სეროლოგი და 140 ლაბორანტი, ამასთან 1 აგვისტომდე გამოუშვას 40 ექიმი-სეროლოგი და 70 ლაბორანტი, დანარჩენი რაოდენობის გამოშვება კი უზრუნველჰყოს 1938 წლის 1 დეკემბრისათვის.

1938 წლის 1 აგვისტოდან მოაწყოს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში სეროლოგიური ლაბორატორიები, ხოლო 1939 წლის 1 იანვრიდან მოაწყოს ასეთი ლაბორატორიები დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს და მიწსახკომს გაითვალისწინონ 1938 წლის ბიუჯეტში საჭირო სახსრები კადრების მოსამზადებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. იანვრის 20. № 71.
თბილისი.

182

10. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფილტვების ანთებით მოარულ დაავადებასთან ბრძოლის გატარების ღონისძიებათა შესახებ.

იმ მიზნით, რომ მოეწყოს ბრძოლა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფილტვების მმუსრავი ანთებით მოარულ დაავადების წინააღმდეგ, რამაც უკანასკნელ დროს იჩინა თავი ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის რაიონებში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნას ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების მხრივ უმშვიდობოდ ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის რაიონები, აგრეთვე ფილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვების ანთებით მოარულ დაავადების მხრივ საეჭვოდ—მათი მოსაზღვრე ზუგდიდის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, აბაშის რაიონები და ქალაქ ფოთის მიდამოები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს დაუყოვნებლივ მოაწყოს და გაატაროს აღნიშნულ რაიონებში ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რისთვისაც არაუგვიანეს 1938 წ. 25 იანვრისა გაგზავნოს აღნიშნულ რაიონებში 16 სავეტერინარო რაზმი.

3. ჩაატაროს ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის რაიონებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობის კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევა ხოლო აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის და ფოთის რაიონებში საყოველთაო კლინიკური და ამორჩევითი სეროლოგიური გამოკვლევა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 1938 წლის 1 აპრილამდე დაამთავროს მეჯოგეთა გაერთიანების „მეჯოგის" მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობის დამუშავება და არაუგვიანეს 1 თებერვლისა გახსნას ცხაკაიას რაიონში სარაიონთაშორისო სეროლოგიური ლაბორატორია დღეში სისხლის არანაკლებ 2000 სინჯის გამტარუნარიანობით.

5. წინადადება მიეცეს გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ზუგდიდის, ცხაკაიას, აბაშის რაიაღმასკომებს და ფოთის საქალაქო საბჭოს დაუყოვნებლივ მოაწყონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო სამეულები რაიაღმასკომის თავმჯდომარის, რაიმიწგანის გამგის და შინსახკომის რაიგანყოფილების უფროსის შედგენილობით, ამასთან დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების საწინააღმდეგო ყველა ღონისძიების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის, კერძოდ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის მთელი სულადობის 100% მოყვანა გამოსაკვლევად, უზრუნველყოფილ იქნას სავეტერინარო რაზმი მუშა ხელით, მტკიცედ იქნას დაცული საკარანტინო რეჟიმი ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების მხრივ უმშვიდობო პუნქტებში და ა. შ.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომს ამხ. თოდაძეს სამი დღის ვადაში მობილიზაცია უყოს და საქართველოს სსრ მიწსახკომის განკარგულებაში გაგზავნოს სეროლოგიურ ლაბორატორიებში სამუშაოდ ორი ექიმი-სეროლოგი და 4 ლაბორანტი, რვა თვის ვადით.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს პირველ მუხლში აღნიშნულ რაიონებში ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის დანიშნოს საქართველოს სსრ მიწსახკომის რწმუნებული, რომლის მუდმივი სამყოფელი ადგილი იქნება ქ. ცხაკაიაში.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს სამი დღის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მიწსახკომს ფილტვების ანთებით მოარულ დაავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვა, ხოლო საქართველოს სსრ ფინსახკომმა საკავშირო ბიუჯეტით სათანადო ასიგნობათა გახსნამდე უზრუნველჰყოს ფილტვების ანთებით მოარულ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება საქართველოს სსრ მიწსახკომის ეპიზოოტური სახსრებიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. იანვრის 20. № 72.
თბილისი.

081.1

11. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატა საბჭო ადგენს:

დამტკიცებული იქნას დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. იანვრის 20. № 86.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

თ ა ვ ი I.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ამოცანები.

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 52 მუხლების საფუძველზე და არის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი აწყობს სასამართლო დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას უწევს მათ საქმიანობას და ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატა საბჭოს, ისე სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

ა) თვალყურს ადევნებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სასამართლო წყობილების დებულების, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და საპროცესო კოდექსების შეფარდებას, სწავლობს და ანზოგადებს მათი შეფარდების პრაქტიკას, აგრეთვე ამუშავებს მათ საჭირო ცვლილებათა და დამატებათა პროექტებს;

ბ) თვალყურს ადევნებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ საბჭოთა კანონების შეფარდებას და აძლევს სასამრთლოებს საერთო მითითებებს სასამართლო პრაქტიკის სისწორისა და ერთგვაროვნის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) აწყობს სასამართლო სისტემას და მოსამართლეთა არჩევნებს და ანხორციელებს სასამართლოების ორგანიზაციულ-სამეურნეო მომსახურეობას;

დ) ანხორციელებს სასამართლო დაწესებულებათა რევიზიას და ინსტრუქტირებას;

ე) ანხორციელებს დამცველთა კოლეგიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას და აწყობს მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევას;

ვ) ანხორციელებს საწარმოო-საამხანაგო და სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას;

ზ) აწყობს სანოტარო ორგანოებს და ანხორციელებს მათი მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას;

თ) ხელმძღვანელობას უწევს იურიდიულ განათლების სისტემას და განაგებს მის გამგებლობაში მყოფ სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს;

ი) აწარმოებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის საკოდიფიკაციო მუშაობას და იძლევა იურიდიულ კონსულტაციას და დასკვნებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის;

კ) აწარმოებს საქართველოს სსრ-ის სასამართლო სტატისტიკას და იმ პირთა აღრიცხვას რომლებსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები;

ლ) ხელმძღვანელობას უწევს საგამომცემლო საქმეს უფლებრივი ლიტერატურის საკითხებზე;

მ) აწყობს ბიუროს საბუხჰალტრო ექსპერტიზის მოსახდენად საგამომძიებლო, სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეებზე და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას.

თავი II.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას იუსტიციის სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებები და სექტორები:

1. სასამართლო დაწესებულებათა განყოფილება, რომელსაც აქვს შემდეგი ქვეგანაყოფები: ა) სასამართლო-საორგანიზაციო სექტორი, ბ) სარევიზიო-საინსტრუქტორო სექტორი და გ) სასამართლო სტატისტიკის სექტორი:

2. სასამართლო დაცვის და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების განყოფილება.

3. კადრების მომზადებისა და აღრიცხვის განყოფილება რომელსაც აქვს შემდეგი ქვეგანაყოფები:

ა) კადრების მომზადებისა და გადამზადების სექტორი და ბ) აღრიცხვის სექტორი.

4. ნოტარიატის განყოფილება.

5. კანონმდებლობის საკოდიფიკაციო და იურიდიული კონსულტაციის განყოფილება.

6. სპეცსექტორი.

7. საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილება, რომელსაც აქვს შემდეგი ქვეგანაყოფები: ა) საადმინისტრაციო-სამეურნეო სექტორი და ბ) საფინანსო სექტორი.

8. საბუხჰალტრო ექსპერტიზის ბიურო.

6. იუსტიციის სახალხო კომისართან იმყოფება საბჭო, რომელსაც მოიწვევს სახალხო კომისარი.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის წარდგენით.

7. იუსტიციის სახალხო კომისრის გამგებლობაში იმყოფება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის იურიდიული გამომცემლობა".

თავი III.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის განყოფილებათა ამოცანები.

8. სასამართლო დაწესებულებათა განყოფილებას ეკისრება:

ა) თვალყურის დევნება სასამართლოებში სასამართლო წყობილების დებულების, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და საპროცესო კოდექსების შეფარდებისათვის და მათი შეფარდების პრაქტიკის განზოგადება;

ბ) თვალყურის დევნება სასასამართლოების მიერ საბჭოთა კანონების შეფარდებისათვის და საერთო მითითებების მიცემა სასამართლოებისათვის სასამართლო პრაქტიკის სისწორისა და ერთგვარობის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) სასამართლო სისტემის ორგანიზაციული საკითხების შემუშავება (მოსამართლეების, სახალხო მსაჯულების არჩევნების ორგანიზაცია, კანდიდატთა წამოყენება, სტრუქტურა, ქსელი, შტატები და ა. შ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სასამართლო დაწესებულებების რევიზია და ინსტრუქტირება;

ე) სასამართლო სტატისტიკის წარმოება და სასამართლოს მიერ საარჩევნო უფლება ჩამორთმეულ პირთა აღრიცხვა.

9. სასამართლო დაცვის და მოსახლეობის იურიდიული დახმარების განყოფილებას ეკისრება:

ა) დამცველთა კოლეგიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა; სახელმწიფო დაცვის ორგანიზაცია იმ რაიონებში რომლებსაც მომსახურეობას არ უწევენ დამცველთა კოლეგიის წევრები;

ბ) დამცველთა კოლეგიასთან არსებული კონსულტაციების მოქმედების საერთო ხელმძღვანელობა და პროფკავშირებთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებული იურიდიული კონსულტაციის მოქმედების ზედამხედველობა.

10. კადრების მომზადებისა და აღრიცხვის განყოფილებას ეკისრება:

ა) კადრების აღრიცხვა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

ბ) იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უშუალო ხელმძღვანელობა;

გ) იურიდიული სკოლებისა და კურსების ორგანიზაცია და მათი მუშაობის გეგმიან-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

დ) დაუსწრებელი სწავლების ხელმძღვანელობა;

ე) იუსტიციის მუშაკთა კადრების მომზადების და გადამზადების გეგმის და სამართლის სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა განაწილების გეგმის შედგენა.

11. ნოტარიატის განყოფილებას ეკისრება სანოტარო ორგანოების ორგანიზაციის საკითხების შემუშავება, მათი მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა.

12. საქართველოს სსრ კანონმდებლობის საკოდიფიკაციო და იურიდიული კონსულტაციის განყოფილებას ეკისრება:

ა) საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია; ბ) იურიდიული კონსულტაციების მიცემა და დასკვნების მომზადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის.

13. საბუხჰალტრო ექსპერტიზის ბიუროს ეკისრება სასამართლო-საბუხჰალტრო ექსპერტიზის მოხდენა კვლევა-ძიების, სასამართლოს და არბიტრაჟის ორგანოების დადგენილებებით.

14. საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილების და სპეცსექტორის ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი.

15. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის იურიდიულ გამომცემლობას“, რომელიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედებს, ეკისრება გამოცემა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) კანონთა სისტემატური კრებულების და პოპულარული უფლებრივი ლიტერატურისა;

ბ) საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პერიოდული ჟურნალისა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურისა სამართლის საკითხებზე და სახელმძღვანელოებისა უფლებრივი მეცნიერებათა საკითხებზე.

თავი IV.

ავტონომიურ რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ხელმძღვანელობა.

16. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს მუშაობას და ანხორციელებს მათი მეშვეობით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისტემის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ამოცანებს.

17. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ბრძანებანი და ინსტრუქციები სავალდებულოა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატებისათვის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსათვის.

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 3. 3/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 1.900

მთავლიტის რწმ. № 2912 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 146